

**სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის  
შემუშავების მეთოდოლოგია  
და განხორციელების წესი**

შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები ..... 3

მუხლი 2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების გარემოებები ..... 3

მუხლი 3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პირობები ..... 3

მუხლი 4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ადმინისტრირება ..... 4

## **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1.1 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზანია, უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების დონის გათვალისწინებით სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზება და მათი შეუფერხებელი ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში; ამასთან, სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა.

## **მუხლი 2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების გარემოებები**

2.1 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სტუდენტისათვის შეიძლება შემუშავდეს შემდეგი გარემოებების შემთხვევაში:

2.1.1 საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული სასწავლო გეგმით სტუდენტის მიერ სწავლის გაგრძელების შეუძლებლობა;

2.1.2 სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების გათვალისწინება გარე და შიდა მობილობის განხორციელების, სტატუსის აღდგენის, განათლების აღიარების, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის, აკადემიური მომზადების განსხვავებული დონის არსებობის, სტუდენტის მიერ მოთხოვნის და სხვა ობიექტური გარემოების შემთხვევაში;

2.1.3 სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების წარმოშობისას;

2.1.4 სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის მოთხოვნით, არასრული დატვირთვის რეჟიმით სწავლის დროს;

2.1.5 უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, რა დროსაც ხდება პროგრამაზე არსებული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა.

## **მუხლი 3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პირობები**

3.1 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს სწავლა/სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს;

3.2 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების დროს, საჭიროების მიხედვით, უნდა განისაზღვროს სტუდენტის მიერ სემესტრულად ასათვისებელი კრედიტების ოდენობა სასწავლო კურსების მითითებით, ასევე, სწავლების ფორმატი, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სპეციალური სასწავლო რესურსები და პირობები;

3.3 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხორციელდება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

3.3.1 სტუდენტის წლიური დატვირთვა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტის;

3.3.2 შესაძლებელი უნდა იყოს შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში მითითებული მოთხოვნების შესრულება, დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევა და სტუდენტის ცოდნის შეფასება.

#### **მუხლი 4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ადმინისტრირება**

4.1 სტუდენტის მიმართვის შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროებას განიხილავს და შემდეგ შეიმუშავებს შესაბამისი სკოლა, სტუდენტის ჩართულობით ან/და მასთან შეთანხმებით;

4.2 სტუდენტის მიმართვის საფუძველზე და არსებული რესურსების გათვალისწინებით, სკოლის ადმინისტრაცია განიხილავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხს და მიღებულ გადაწყვეტილებას აცნობებს სტუდენტს;

4.3 ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით სტუდენტსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის ფორმდება შეთანხმება;

4.4 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და დანერგვის პროცედურებს მონიტორინგს უწევს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი და, საჭიროების შემთხვევაში, იძლევა გეგმის მოდიფიცირების რეკომენდაციებს.

#### **მუხლი 5. დასკვნითი დებულებები**

5.1 წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი წესის მიხედვით;

5.2 ცვლილებებს განიხილავს მმართველი საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.